

Culture & Creativity

EU-Eastern Partnership Programme



კულტურის გავლენა რეგიონალურ განვითარებაზე და ურბანულ განვითარებაზე

კულტურული მემკვიდრეობა როგორც ურბანული განვითარების, კულტურული ობიექტების მხარდამჭერი ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებისა და მექანიზმების კაპიტალიზაციის მთავარი ფაქტორი



პროგრამა ფინანსდება ევროკავშირის მიერ

შესავალი

მიუხედავად იმისა, რომ კულტურული მემკვიდრეობა მოდის წარსულიდან, ის ყოველთვის იყო და კვლავაც რჩება მნიშვნელოვან და საკმაოდ თანამედროვე კულტურულ რესურსად მთელს მსოფლიოში. ის აკავშირებს ადამიანებს წარსულთან, არის იდენტობის ერთერთი მნიშვნელოვანი კომპონენტი, აწვდის ადამიანებს კულტურულ მოგონებებსა და ცოდნას უკეთესი და უფრო ინტეგრირებული და გაცნობიერებული საზოგადოებების ჩამოყალიბებისთვის. კულტურული მემკვიდრეობა რეგიონთაშორისი და საერთაშორისო დიალოგის კონკრეტული ნაწილია, ვინაიდან მას შეუძლია უზრუნველყოს უსაფრთხო საფუძველი მრავალი და ხშირად კონფლიქტური მოგონებებისა და ისტორიული მოთხრობების კვლევისთვის. ის არის სწავლისა და მოქალაქეების ჩართულობის წინაპირობა.

კულტურული მემკვიდრეობა მიიჩნევა მნიშვნელოვან ეკონომიკურ აქტივად და ადგილობრივი და რეგიონალური განვითარების მამოძრავებელ ძალად. ფაქტიურად, ის იყო პირველი კულტურული დომენი, რომელიც განიხილება როგორც ეკონომიკურად რელევანტური. უკვე 1970-იან წლებში, გაეროს განვითარების პროგრამა და მსოფლიო ბანკი ამართლებდნენ ინვესტიციებს ისტორიული ობიექტების შენარჩუნებაში მხოლოდ ეკონომიკური საფუძვლით, და 1980-იანი წლების ბოლოს ჩვეული გახდა საუბარი „მემკვიდრეობის ინდუსტრიაზე“, რომელიც აღმოცენდა ტურიზმის მზარდ ინდუსტრიასთან სიმბიოზში. დღესდღეობით, მრავალი ქვეყანა, რეგიონი და ქალაქი აღიარებს კავშირს კულტურისა და ტურიზმის სექტორებს შორის და ხშირად აერთიანებს მათ ერთი სამინისტროს ან დეპარტამენტის ქვეშ. კულტურული ტურიზმი, რომელმაც გამოავლინა მდგრადი ზრდა ათწლეულების განმავლობაში, ხდება ადგილობრივი და რეგიონალური განვითარების უფრო მეტად მნიშვნელოვანი ფაქტორი.

გასათვალისწინებელია ისიც, რომ ტურიზმის ზეწოლამ შეიძლება გავლენა მოახდინოს ქალაქების ეკოსისტემაზე. მიუხედავად ამისა, მდგრადი მიდგომა მატერიალური და არამატერიალური მემკვიდრეობის მიმართ აძლევს ქალაქებს ზრდის მრავალფეროვან შესაძლებლობას. ისტორიული რეგიონების აქტივაციის შედეგად მიღებული ეკონომიკური სარგებელი და კულტურული მემკვიდრეობის დაცვა მოიცავს, მაგრამ არ შემოიფარგლება ადგილობრივი წარმოების სისტემების იმპულსებით, სამუშაო ადგილების შექმნით, და მარკეტინგული ბონუსებით, ვინაიდან კულტურული მემკვიდრეობა ზრდის ქალაქების მიმზიდველობას და ხელს უწყობს მათ უნიკალურ პოზიციონირებას და იმიჯს.

სხვა ფაქტორებთან ერთად, კულტურული მემკვიდრეობა არის სასიცოცხლო მნიშვნელობის ფაქტორი მოქალაქეთა ცნობიერების ამაღლებისთვის და მონაწილეობისთვის ქალაქის განვითარებაში, რითაც უზრუნველყოფს მის მდგრადობას და აყალიბებს უფრო სტაბილურ და სანდო ურთიერთობას მთავრობასა და კერძო სექტორს შორის.

კულტურული მემკვიდრეობის ხელშეწყობა და დაფასება შეიძლება გახდეს მნიშვნელოვანი ზოგიერთი ადგილის აღორძინებისთვის, რომელიც დგას ისეთი პრობლემის წინაშე, როგორც დე-ინდუსტრიალიზაცია. ზუსტად რომ კულტურული მემკვიდრეობა კულტურის შემოქმედთა კრიტიკულ მასასთან ერთად აყალიბებს კულტურული და კრეატიული ინდუსტრიების დაწყების საფუძველს.

ევროპის მდიდარ და მრავალფეროვან მემკვიდრეობას აქვს დიდი პოტენციალი გახადოს ცნობადი ნაკლებად ცნობილი ადგილები და განავითაროს მდგრადი კულტურული ტურიზმი.



ფაქტები და მონაცემები

- მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაციის მონაცემების მიხედვით (UNWTO), ბოლო ექვსი ათწლეულის განმავლობაში **ტურიზმა განიცადა ზრდა და დივერსიფიკაცია** და გახდა მსოფლიოს ერთერთი უმსხვილესი და მზარდი ეკონომიკური სექტორი. საერთაშორისო ტურისტული ვიზიტები გაიზარდა 25 მილიონიდან 1950 წელს, 277 მილიონამდე 1980 წელს, 438 მილიონამდე 1990 წელს, 684 მილიონამდე 2000 წელს და 922 მილიონამდე 2008 წელს. როგორც მოსალოდნელია 2020 წლისთვის საერთაშორისო ვიზიტები მიაღწევს 1.6 მილიარდს. ვინაიდან აღნიშნული ზრდა განსაკუთრებით გაძლიერდა ე.წ. „განვითარებად რეგიონებში“, საერთაშორისო ტურიზმის წილი განვითარებად ქვეყნებში გაიზარდა 31 პროცენტიდან 1990 წელს, 45 პროცენტამდე 2008 წელს. საერთაშორისო ტურიზმი გაიზარდა 1.7 პროცენტით რეალური გამოსახულებით US\$ 944 მილიარდამდე 2008 წელს.
- ევროპა არის მთავარი ტურისტული დანიშნულება, მნიშვნელოვანი კულტურული ობიექტების დიდი რაოდენობითა და კულტურულად მოტივირებული საერთაშორისო და ადგილობრივი სტუმრების დიდი ნაკადით. როგორც ირკვევა, **კულტურულ ტურიზმს უკავია** მთლიანი ევროპული ტურიზმის **დაახლოებით 40%** (მათ შორის, ზოგადი და სპეციფიკური კულტურული ტურიზმი).
- ევროსტატის ინფორმაციის მიხედვით, ყველაზე პოპულარული ტურისტული მიმართულებები ევროპაში არის პარიზი, ბერლინი, რომი, ბარსელონა და პრაღა-ქალაქები, რომელთა იდენტობა შექმნილია მატერიალური და არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობით.
- Price Waterhouse Coopers-მა **ევროპული კლასტერის მიმოხილვის მოხსენებაში კრეატიული ინდუსტრიების შესახებ** (2013) აღნიშნა, რომ კულტურული მემკვიდრეობა, რომელსაც ფლობენ და ამუშავებენ საჯარო დაწესებულებები, არის მნიშვნელოვანი აქტივი კრეატიულ ეკონომიკაში და მთავრობებმა უნდა აღიარონ ის ასეთად. ანგარიშის მიხედვით კულტურული მემკვიდრეობა არის CCI და კრეატიული კლასტერების განვითარების საფუძველი.
- კულტურას ზოგადად და კერძოდ, CCI-ს აქვს **უშუალო გავლენა ურბანული უძრავი ქონების ფასზე**, ისინი წარმოადგენენ კულტურის მიერ მართული ურბანული აღორძინების სტრატეგიების ძირითად ელემენტს. ეს გავლენა შეიძლება იყოს დიდი პროექტების შედეგი, როგორცაა მემკვიდრეობის რეგენერაციის პროექტი ან კრეატიული კლასტერი და უფრო პატარა კრეატიული მიკრო-ბიზნესები ან მცირე კულტურული აქტივისტების საქმიანობა.

გადაწყვეტილებები

მაგალითი 1

ბავარიული ქალაქი **რეგენსბურგი** ვითარდება უნიკალური შუასაუკუნეების ქალაქის ცენტრის გარშემო, რომელიც 2006 წელს შევიდა იუნესკოს მსოფლიო მემკვიდრეობის ნუსხაში როგორც „რეგენსბურგის ძველი ქალაქი შტადტამჰოფით“. ქალაქმა შეეცადა მაქსიმალურად გამოეყენებინა ეს უნიკალური კულტურული მემკვიდრეობა და განახორციელა ინვესტიცია ძველი ქალაქის რესტავრაციასა და შენარჩუნებაში 1960 წლიდან. 2006 წლიდან მთავარი მიზანი იყო მემკვიდრეობის ობიექტის დაცვა და სათანადო მართვა.

მართვის მთავარი ინსტრუმენტი-მსოფლიო მემკვიდრეობის მართვის გეგმა (WHMP), რომელშიც მოცემულია, თუ როგორ უნდა განხორციელდეს უნივერსალური ღირებულების მსოფლიო მემკვიდრეობის დაცვა დამტკიცდა იუნესკოს 2007 წლის პრემიასთან დაკავშირებით. WHMP არის **გეგმა-მოდელი** ქალაქებისთვის და რეგიონებისთვის მემკვიდრეობის მსხვილი ობიექტების სამართავად.

ინოვაციური და ინტეგრირებული მიდგომის შეთვისებით, მუნიციპალურმა გუნდმა ერთობლივად მიიღო მონაწილეობა მიმდინარე გეგმის შემუშავებაში, აქტიურად ითანამშრომლა მთელ რიგ ექსპერტებთან და მოქალაქეებთან. აღნიშნულმა დაინტერესებულმა მხარეებმა ჩამოაყალიბეს „**ადგილობრივი მხარდაჭერის ჯგუფი**“, რომელიც გაიყო უფრო პატარა ერთეულებად WHMP-ის სპეციფიკურ საკითხებზე სამუშაოდ. მიუხედავად იმისა, რომ ძირითადად ქალაქი რეგენსბურგი არის პასუხისმგებელი გეგმის განხორციელებაზე, ადგილობრივი მხარდაჭერის ჯგუფი კვლავაც ახორციელებს მთლიანი პროცესის ზედამხედველობას.



- მსოფლიო მემკვიდრეობის ობიექტი გაშლილია 182 ჰექტარზე და მოიცავს 984 ისტორიულ შენობას, გარშემორტყმულია 775 ჰექტარის „ბუფერული ზონით“ სპეციფიკური ურბანული დაგეგმვის წესებით.
- WHMP-ს ძირითადი გამოწვევებია:

1. ისტორიული არქიტექტურული მემკვიდრეობისა და მისი ვიზუალური მთლიანობის დაცვა-ობიექტის დაცვის ბალანსირება მის სამომავლო ფუნქციების ადაპტაციის საჭიროებასთან,
2. ობიექტის (საცხოვრებელი, სამსახური, დასვენება, გასტრონომია, საცალო ვაჭრობა, ტურიზმი) მრავალფუნქციური ხარისხის გარანტია. სხვადასხვა ფუნქციების კომბინაციამ ძალიან მჭიდრო და შეზღუდულ სივრცეში შეიძლება გამოიწვიოს კონფლიქტები გამოყენებისა და კომერციული ინტერესების გამო, რომლებმაც თავის მხრივ, შესაძლოა საფრთხეში ჩააგდონ ქალაქის ისტორიული ნაწილის მრავალფუნქციური ხარისხი
3. ბუნებრივი რისკებისა და ეკოლოგიური გამოწვევების დაგეგმვა (წყალდიდობები, ჰაერის დაბინძურება და კლიმატის ცვლილება).



- WHMP ავლენს მოქმედების რვა ძირითად სფეროს თითოეული მათგანისთვის კონკრეტული გადანაცვლებით:
 1. მატერიალური მემკვიდრეობის მხარდაჭერა საჯარო და კერძო ინვესტიციების მეშვეობით გარანტირებულია სპეციალური ფონდებით ან არქიტექტურული პრიზებით
 2. სტრატეგიული მიდგომა გამოიყენება ადგილობრივ კულტურულ შემოთავაზებასთან ობიექტზე სტუმრების გამოცდილების გასაუმჯობესებლად.
 3. ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობა ხორციელდება პროგრამის მხარდაჭერი სთარტაფების მეშვეობით, ისევე როგორც საცალო ვაჭრობის ცარიელი ადგილების შემცირებით.

4. ტურიზმი ვითარდება ახალი პროექტების, ისევე როგორც სოციალური მრავალფეროვნებისა და ცხოვრების ხარისხის გათვალისწინებით.
5. გადაადგილება ხორციელდება ველოსიპედებისა და ადგილობრივი საზოგადოებრივი ტრანსპორტის მეშვეობით.
6. ძველი ქალაქის სპეციფიკა გათვალისწინებულია ურბანული დაგეგმვის ყველა დოკუმენტში.
7. ეკოლოგიური ბალანსი გათვალისწინებულია ისტორიული შენობების შენარჩუნებაში.
8. შემუშავებულია ცნობიერების ამაღლებისა და კვლევის პროგრამა.
 - შეიქმნა გადასახადებისგან გათავისუფლების სქემა, რომელიც ეძღვნება კულტურულ მემკვიდრეობას. ის უზრუნველყოფს კერძო ინვესტორების მიერ ობიექტში ინვესტიციების ჩადებას.
 - როგორც ირკვევა, ძველი ქალაქი ახდენს დადებით გავლენას ადგილობრივ საცალო ვაჭრობაზე, ვინაიდან 1,400 მაღაზიამ ქალაქის მასშტაბით მიაღწია დაახლოებით €1.3 მილიარდიან წლიურ ბრუნვას.
 - 300,000-ზე მეტი სტუმარი დაფიქსირებულია 2011 წელს ტურისტულ ცენტრებში.



მაგალითი 2

მერიდას არქეოლოგიური ანსამბლი შევიდა იუნესკოს მსოფლიო მემკვიდრეობის ობიექტების ნუსხაში 1993 წელს. ესპანური პროვინციის ექსტრემადურას დედაქალაქი მდიდარია რომაული მემკვიდრეობით. ქალაქის სპეციალური დაცვის გეგმა უზრუნველყოფს ძლიერ ქსელს მემკვიდრეობის დაცვასა და ურბანულ განვითარებას შორის, და მიზნად ისახავს ურბანული განვითარების განაწილების თავსებადობას მემკვიდრეობის დაცვასთან. ქალაქის დაგეგმვის მნიშვნელოვანი ნაწილი დაკავშირებულია მემკვიდრეობის კვლევასთან, დოკუმენტირებასთან და დაცვასთან, არსებული ძვირფასი ობიექტების ახალ ურბანულ სივრცეებში ინტეგრირების მიზნით.

მერიდას მონუმენტური ქალაქის კონსორციუმი შეიქმნა 1996 წელს, როგორც ერთობლივი ინსტრუმენტი, რომელიც ახორციელებდა ქალაქის მემკვიდრეობის მართვაში ჩართული მრავალი დაწესებულების საქმიანობის კოორდინაციას. კონსორციუმმა დანერგა სპეციალური დაცვის გეგმა. კონსორციუმის მთავარი გამოწვევა იყო მაქსიმალურად გამოეყენებინა მონუმენტური მემკვიდრეობის მიტოვებული რესურსები) არსებული მცირე რესურსებით, ეკონომიკური ზრდისა და სოციალური ინტეგრაციის ხელშეწყობის მიზნით.

კონსორციუმის ინსტრუმენტი იყო სხვადასხვა პარტნიორობების განვითარება; ინსტრუმენტები მოიცავდნენ მოქალაქეებისა და კერძო სექტორის მონაწილეობას. კონსორციუმმა განახორციელა ოთხი ძირითადი ინიციატივა:

1. ინიციატივა “Mecenas” ხელმისაწვდომია მოქალაქეებისთვის, ასოციაციებისთვის, დაწესებულებებისთვისა და კომპანიებისთვის, რომლებიც შეიძლება გახდნენ მემკვიდრეობის ობიექტების მფარველები და სანაცვლოდ მიიღონ პრივილეგიები (უფასო შესვლა, ფასდაკლება მაღაზიებში, მოსაწვევები ღონისძიებებზე და სხვა).
2. ინიციატივა “სკოლა კისრულობს ძეგლის პატრონაჟს” აძლევს სკოლებს მემკვიდრეობის დაცვაში მონაწილეობისა და ცოდნის გავრცელების შესაძლებლობას. სკოლები ხდებიან ძეგლების სპონსორები და შეიმუშავენ ნლის განმავლობაში განსახორციელებელ ღონისძიებებს ამ საკითხთან დაკავშირებით, ობიექტზე პრივილიგირებული დამშვებით.
3. ინიციატივა “Heritage Emeritus” არის სოციალური მოხალისეობის პროგრამა, რომლის საბოლოო მიზანია მემკვიდრეობისადმი ხელმისაწვდომობის ხელშეწყობა, განსაკუთრებით იმ ჯგუფებისთვის, რომლებიც დგანან სიღარიბის ან სოციალური იზოლაციის რისკის წინაშე (უმუშევარი, ავადმყოფი, დაუცველი რაიონებიდან და სხვა).
4. ინიციატივა “Emerita Lúdica” -ს მიზანია ისტორიული რეკრეაციული საქმიანობის შემუშავება მერიდას რომაული მემკვიდრეობის დაცვის მიზნით. თითოეული ყოველწლიური გამოცემა ხდება ტურისტების ძირითადი მიზანი როგორც ქალაქისთვის, ისე რეგიონისთვის, როდესაც რამდენიმე დღის განმავლობაში ტარდება რომაული პერიოდის მრავალი რეკრეაციული ღონისძიება, მსახიობებისა და კომპანიების მონაწილეობით.



- კულტურული ინიციატივების უმეტესი ნაწილისგან განსხვავებით, მერიდას კონსორციუმის შემთხვევაში **კერძო დაფინანსება და შემოსავალი (75%) აღემატება საზოგადოებრივ დაფინანსებას (25%)**. 2015 წლის ბიუჯეტმა შეადგინა €3,291,453. კერძო დაფინანსება შედგება მფარველების შენატანებისგან “Mecenas” და “Emerita Lúdica” ინიციატივებში, სკოლების სპონსორობისგან “The School adopts a monument” ინიციატივაში და შესვლის საფასურისგან. 2015 წლისთვის კონსორციუმი ვარაუდობს, რომ შესვლის საფასურიდან შემოვა შემოსავლის 68%, 16% სახელმწიფო ორგანიზაციებიდან, 9% ფართების გაქირავებიდან და 7% პატრონაჟიდან. შედარებისთვის, მერიდას მუნიციპალიტეტის 2014 წლის ბიუჯეტი იყო €537,300.
- “Mecenas” პროგრამის ფარგლებში დაახლოებით 1,500 და 2,000 ადამიანი და ადგილობრივი ბიზნესი ჩართულია სპონსორის სახით. 2014 და 2015 წლებში კონსორციუმის ბიუჯეტი გაიზარდა 6.8%-ით კერძო შენატანების ხარჯზე.
- ინიციატივამ “Emerita Lúdica” მოიზიდა 30,000-ზე მეტი ადამიანი და ჩართო 400-ზე მეტი მოხალისე მის მეოთხე და მეხუთე გამოცემებში.
- წლის განმავლობაში მერიდას მემკვიდრეობა მასპინძლობს 500,000-ზე მეტ სტუმარს, საიდანაც 12% არის საერთაშორისო.

კონსორციუმმა შეძლო მდგრადი პარტნიორობის დამყარება სხვადასხვა ადგილობრივ ჯგუფებთან და ბიზნესებთან, მათი ჩართულობის, მონაწილეობისა და ერთობლივი პასუხისმგებლობის უზრუნველყოფით. საგანმანათლებლო ასპექტის შედეგად მოხდა მემკვიდრეობის გრძელვადიანი დაფასება, მაშინ როდესაც არქეოლოგიური ობიექტების, როგორც ტურისტული აქტივების გამოყენებამ გადააქცია მემკვიდრეობა მდგრად რესურსად. ინიციატივამ “Mecenas” უზრუნველყო ძველის შენარჩუნების შიდა ფინანსური მდგრადობა გრძელვადიანი პერსპექტივაში, მზარდი დაფინანსებითა და სპონსორობით.

კონსორციუმის მიერ კულტურული მემკვიდრეობის წარმატებულმა წარმოჩენამ უბიძგა რეგიონალურ მთავრობას გაემეორებინა იგივე ექსტრემადურას სხვა ქალაქებში.


შედეგები და გავლენა

- ბოლო კვლევებმა აჩვენა, რომ მემკვიდრეობაზე დაფუძნებულ ტურიზმში არის ცვლილება იმ ქალაქების მიმართულებით, რომლებიც სთავაზობენ კულტურის/კრეატიულობის დამატებით ფორმებს- მაგალითად, ფესტივალებსა და სხვა სპეციალურ ღონისძიებებს. კულტურული მემკვიდრეობა, რომელიც ხდება უფრო დიდი კულტურული და საგანმანათლებლო ღონისძიებების **პლატფორმა** აღმოჩნდა უფრო მდგრადი.
- კულტურული მემკვიდრეობის ობიექტების აღორძინება და დაცვა არის მძლავრი იმპულსი **ადგილობრივი ეკონომიკის განვითარებისთვის**, მცირე და საშუალო ბიზნესების წარმოშობისთვის და გაძლიერებისთვის, შედეგად იქმნება სამუშაო ადგილები დასვენებისა და ტურიზმის სექტორში. იმავე ნიშნით ადგილობრივ მცირე და საშუალო ბიზნესებს შეუძლიათ მხარი დაუჭიროონ მემკვიდრეობის ობიექტებს როგორც პარტნიორებმა, სპონსორებმა, აქტივისტებმა.
- **მემკვიდრეობის ობიექტების გაცოცხლება**, რომელიც მოიცავს მათი ნაწილების მორგებას თანამედროვე საჭიროებებთან-საცხოვრებელი, საცალო ვაჭრობის ობიექტები, კრეატიული ცენტრები და სხვა- უზრუნველყოფს მათ აქტიურობას ქალაქის ყოველდღიურ ცხოვრებაში, და ამით იძლევა მდგრადობის გარანტიას.
- ტურიზმის მუდმივ გაფართოებას შეუძლია საფრთხეში ჩააგდოს ეკოლოგიური და სოციალური პირობები. ეს ხელს უწყობს ელიტარულ კომერციას და ანადგურებს ადგილობრივ ეკონომიკას და მეზობლების ცხოვრებას. **მოქალაქეების აქტიური ჩართულობა**, მოქალაქეების, ადგილობრივი ბიზნესების, საგანმანათლებლო და კულტურული დაწესებულებების სხვადასხვა ჯგუფების კოორდინირებული თანამშრომლობა აღორძინების და/ან განვითარების და დაცვის ღონისძიებების დაგეგმვისა და განხორციელების ყველა ეტაპზე დაამტკიცა ქალაქის მდგრადი განვითარების შესაძლებლობა.
- **საგანმანათლებლო ღონისძიებები** და პროგრამები, რომლებიც მოიცავენ კულტურულ მემკვიდრეობას უზრუნველყოფენ მუდმივ სწავლას და განაწილებულ პასუხისმგებლობას ობიექტებზე მოქალაქეთა სხვადასხვა ჯგუფების, განსაკუთრებით ახალგაზრდების მხრიდან.
- ისტორიული, კულტურული და ხელოვნების მემკვიდრეობა უზრუნველყოფს კრეატიული ინდუსტრიების საკვებ **ნიადაგს სხვადასხვა მექანიზმების მეშვეობით**. როგორც წესი, კრეატიული ინდუსტრიები აშენებულია კულტურული მემკვიდრეობის და ხელოვნებისა და სხვა კრეატიული პრაქტიკოსების მდიდარ და მრავალფეროვან საფუძველზე და ეყრდნობა სამეწარმეო და ინოვაციური სერვისების სხვადასხვა ფენების ეფექტურ ურთიერთკავშირს ბაზარზე კრეატიულობის უზრუნველყოფის მიზნით.

რეკომენდაციები

- კულტურული მემკვიდრეობა წარმოადგენს **კრეატიული ეკონომიკის მთავარ აქტივს**. ამ მიმართულებით პირველი ნაბიჯი არის მისი ასეთად აღიარება ადგილობრივი, რეგიონალური და ეროვნული მთავრობების მიერ.
- კულტურულ მემკვიდრეობას (როგორც კრეატიული ეკონომიკის ნაწილს) აქვს ძირითადად ადგილობრივი ფესვები. დეცენტრალიზაციის მიმართულებით ძირითადი ცვლილებითა და რეგიონების გაძლიერებით ის უზრუნველყოფს ქალაქებსა და რეგიონებს შედარებითი უპირატესობებით. წარმატებული პოლიტიკები უნდა წარმოიშვას **ეროვნული და ადგილობრივი დონის მთავრობების ურთიერთქმედებისგან**, ისევე როგორც მათი ურთიერთქმედებისგან და თანამშრომლობისგან კერძო სექტორთან და სამოქალაქო საზოგადოებასთან.
- მატერიალური კულტურული მემკვიდრეობა არის მნიშვნელოვანი აქტივი, ამავდროულად ის შეიძლება იყოს სერიოზული გამოწვევა რეგიონალური და მუნიციპალური რესურსებისთვის. **კარგად განსაზღვრული მართვის გეგმა არის ძვირფასი ინსტრუმენტი**, რომელიც შედეგად შესაძლებელია მიზნების დასახვა, რესურსების მართვა, მსხვილი პრობლემების პატარა პრობლემებად დაშლა, მონიტორინგი და ურბანული და მემკვიდრეობის პროფესიონალების სხვადასხვა ჯგუფების, ისევე, როგორც ადგილობრივი მოქალაქეებისა და უშუალო დაინტერესებული პირების (ადგილობრივი მოქალაქეების, მალაზიების მფლობელების და ა.შ.) ჩართვა.
- **ადგილობრივი სუბიექტების ჩართულობა** (მოქალაქეები, მცირე და საშუალო ბიზნესები და სხვა) კულტურული მემკვიდრეობის აღდგენასა და დაცვაში, რაც წარმოადგენს ობიექტებისა და ქალაქების და/ან რეგიონების მდგრადი განვითარების პრიორიტეტს. ის იძლევა გრძელვადიანი მიზნების დასახვისა და განხორციელების, პასუხისმგებლობის განაწილების, რესურსების ბაზის გაფართოების, მოქალაქეთა სხვადასხვა ჯგუფებს შორის, ისევე როგორც მოქალაქეთა და მთავრობას შორის მიმდინარე დიალოგისთვის სივრცის შექმნის შესაძლებლობას. მოქალაქეთა სხვადასხვა ჯგუფებს შეუძლიათ მართონ მცირე დავალებები გეგმის ფარგლებში, რის შედეგადაც ის ხდება რეალისტური და განხორციელებადი. მოქალაქეთა ჩართულობა აგრეთვე წარმოადგენს გადამწყვეტ უსაფრთხოების ზომას ტურიზმის ინდუსტრიის დაბრკოლებების წინააღმდეგ.
- **გამჭირვალობა, მიმდინარე კონსულტაციები, თანამშრომლობა და ღია კომუნიკაცია** წარმატების ძირითადი კომპონენტებია.
- კულტურული მემკვიდრეობა შეიძლება გახდეს CCI და კრეატიული კლასტერების განვითარების ცენტრალური ბირთვი. კულტურული მემკვიდრეობის გაცოცხლება და ვალორიზაცია დაეხმარება პრობლემური და შორეული ადგილების აღორძინებას (ყოფილი სამრეწველო ობიექტები, ისეთი ობიექტები, რომლებიც განლაგებულია ტრადიციული მარშრუტებიდან შორს და სხვა). **კულტურული მემკვიდრეობის ობიექტების ირგვლივ CCI-ს მშენებლობა უზრუნველყოფს მათ მდგრადობას** ემოციური და ფინანსური ერთობლივი პასუხისმგებლობის, სხვადასხვა გამოცდილების კუთხით.

- სხვადასხვა **ფინანსურმა სტიმულებმა** (გადასახადებისგან გათავისუფლებამ, საკრედიტო გეგმებმა, სპეციალურმა პირობებმა და სხვა) დაინტერესებული პირებისთვის, როგორცაა ადგილობრივი მოსახლეობა, მცირე და საშუალო ბიზნესები, კრეატიული კლასტერები და ცენტრები, მფარველები და მხარდამჭერები-შეიძლება მოიტანოს მნიშვნელოვანი უპირატესობები.



დამატებითი ინფორმაცია

უნესკოს კრეატიული ეკონომიკის ანგარიში, 2013

<http://www.unesco.org/culture/pdf/creative-economy-report-2013.pdf>

ევროპის კლასტერის ობსერვატორია. კრეატიული ინდუსტრიები: ინდუსტრიისთვის დამახასიათებელი ჩარჩო პირობების ანალიზი, რომელიც რელევანტურია მსოფლიო კლასის კლასტერების განვითარებისთვის, 2013

http://www.emergingindustries.eu/Upload/CMS/Docs/Creative_industries_FCs.pdf

კრეატიულობა, კულტურა & ქალაქი: ურთიერთკავშირის საკითხი, ჩარლზ ლენდრი, 2010

https://www.forum-avignon.org/sites/default/files/editeur/ECCE_report.pdf

კულტურა ქალაქებსა და რეგიონებში

<http://www.cultureforcitiesandregions.eu>

ევროსტატი. ურბანული ევროპა-სტატისტიკა ქალაქების, პატარა ქალაქებისა და გარეუბნების შესახებ-ტურიზმი და კულტურა ქალაქებში

http://ec.europa.eu/eurostat/statistics-explained/index.php/Urban_Europe_-_statistics_on_cities_towns_and_suburbs_-_tourism_and_culture_in_cities#Main_statistical_findings

ევროპული კულტურული მარშრუტების გავლენა მცირე და საშუალო ბიზნესების ინოვაციებსა და კონკურენტუნარიანობაზე. ევროპის საბჭო

https://ec.europa.eu/growth/sectors/tourism/offer/cultural_en

მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაცია

<http://unwto.org/facts/menu.html>